

კარბი მმართველ- ობის გზამკვლევი

No. 06

უშუშ სექტორში ღიაობასა
და საიდუმლოებას შორის ბალანსი:
გაკვეთილები საერთაშორისო
კარგი პრაქტიკიდან



თავდაცვის სექტორის
კეთილსინდისიერების ცენტრი



Norwegian Ministry
of Defence

თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრი

თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრი (CIDS) ხელს უწყობს კეთილსინდისიერებას, კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს და კარგ მმართველობას თავდაცვის სექტორში. ნორვეგიელ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით ცენტრი ცდილობს აამაღლოს კომპეტენცია, ინფორმირებულობა და უზრუნველყოს პრაქტიკული საშუალებები კორუფციის რისკების შესამცირებლად. CIDS-ი ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნა 2012 წელს.

სექტორის შესახებ

ფრანცისკო კარდონა CIDS-ის ასოცირებული საერთაშორისო ექსპერტია. იგი სახელმწიფო სამსახურის და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმების დაგეგმარების და შეფასების, ადმინისტრაციული სამართლის და მართლმსაჯულების, ანტი-კორუფციული პოლიტიკის და ინსტიტუციური აღმშენებლობის აღიარებული ექსპერტია. მისი სამუშაო გამოცდილება მშობლიურ ესპანეთში დაიწყო, სადაც კარიერულ წინსვლას მიაღწია სახელმწიფო სამსახურში, შემდეგ გადავიდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, რო-

გორიცაა ეთგო, პროგრამა SIGMA, სადაც 15 წლის განმავლობაში საჯარო მმართველობის უფროს პოლიტიკურ ანალიტიკოსად იმუშავა. SIGMA-ში ყოფნისას კონსულტაციებს უწევდა 25-მდე გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანას აღმოსავლეთ ევროპაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და კარიბის რეგიონში. მას იურიდიული განათლება აქვს (ვალენსიის უნივერსიტეტი, 1976 წ.) და რამოდენიმე ხარისხის მფლობელია საჯარო ადმინისტრაციაში.

წინასიტყვაობა

კარგი მმართველობის გზამკვლევი

თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრის კარგი მმართველობის გზამკვლევის უპირველესი ამოცანაა წარმოაჩინონ „კარგი მმართველობის“ სფეროსთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები. გზამკვლევი უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული, მაგრამ საკითხების ზედმეტად გამარტივების გარეშე.

კარგი მმართველობის გზამკვლევის მეექვსე გამოცემაში ავტორი მიზნად ისახავს კრიტიკული შეფასება მისცეს საიდუმლოების კონცეფციას თავდაცვის სექტორში. ამ თვალსაზრისით, ავტორი სვამს შეკითხვას: „(...) სადამდე უნდა გავრცელდეს ბალანსი ინფორმაციაზე თავისუფალ წვდომასა და ამ წვდომის გარკვეულ ზღვრამდე შეზღუდვას შორის“ დემოკრატიულ საზოგადოებაში (...) „ღია მმართველობის განხორციელების პირობებში?“ ამასთან, როდის წარმოიშობა ინფორმაციის დასაიდუმლოების საჭიროება ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე? იხილეთ მოქალაქეთა უფლება სახელმწიფო დაცვაზე.

ეს გზამკვლევი შედგენილია ფრანცისკო კარდონას მიერ. იგი თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრის უფროსი საერთაშორისო ექსპერტია. მე მინდა მადლობა გადავუხადო მას კარგი მმართველობის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში შეტანი-

ლი წვლილისათვის. ეს არის თემა, რომელიც ძალზე აქტუალურია ბოლო წლების საჯარო დებატებში და სავარაუდოდ ასეთად დარჩება მომავალ წლებშიც.

მე ასევე მინდა მადლობა გადავუხადო გზამკვლევის გამოცემის პროცესში შესრულებული როლისთვის ცენტრის რედაქტორს ბარდ კნუცენს და ჩვენი გამოცემის კოორდინატორს ასე მარია ფოსუმს.

ცენტრი იმედოვნებს, რომ მოცემული კარგი მმართველობის გზამკვლევი სასარგებლო იქნება ფართო საზოგადოებისათვის, როგორც საჯარო სექტორში, მათ შორის თავდაცვის სექტორში; ასევე სექტორის გარეთ. დემოკრატიული საზოგადოების გამართული ფუნქციონირებისათვის ღიაობისა და საიდუმლოებას შორის ბალანსის დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრი მოხარული იქნება მიიღოს გზამკვლევთან დაკავშირებული გამოხმაურებები.

ოსლო, 24 აპრილი 2018

პერ ქრისტენსენი
დირექტორი

სარჩევი

შესავალი.....	3
ძირითადი კონცეფცია: ეროვნული უსაფრთხოება, როგორც საიდუმლოების განმაპირობებელი გარემოება.....	4
მართლმსაჯულების ზოგადად სუსტი როლი დასაიდუმლოების სისტემების კონტროლის პროცესში.....	7
დასაიდუმლოების კრიტერიუმები და საიდუმლოების დონეები.....	9
განსაიდუმლოების კრიტერიუმები.....	12
საიდუმლოების კონტროლის ტესტი: ზიანის ტესტი და საჯარო ინტერესის გალანსის ტესტი.....	12
ზიანის ტესტი	12
საჯარო ინტერესის გალანსის ტესტი	12
დასკვნები	16
ბამოყენებული წყაროები.....	18

შესავალი

წინამდებარე კარგი მმართველობის გზამკვლევი მოკლედ მიმოიხილავს ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო-ს) წევრ-სახელმწიფოთა საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, რომელიც მიზნად ისახავს თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში საჯარო ინფორმაციის საიდუმლოების შენარჩუნებას და ამავდროულად მხარს უჭერს საჯარო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომის ზოგად უფლებას. ამ გზამკვლევის მიზანია ისეთი პოლიტიკის გატარების რეკომენდაცია, რომელიც წაახალისებს ღია მმართველობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მოქალაქეთა შესაძლებლობას მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები მთავრობების საქმიანობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, დაწესდეს ზღვრები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი იმ ინფორმაციის ხარისხიანი დაცვისათვის, რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოებისათვის, თავდაცვისა და სადაზვერვო საქმიანობისათვის, ასევე კორუფციისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

გამჭვირვალობა და საჯაროობა კორუფციის, არაკეთილსინდისიერი ადმინისტრირებისა და დაბალი ხარისხის მმართველობის წინააღმდეგ მოქმედი ეფექტური პრევენციული საშუალებებია. დემოკრატიები ვერ იფუნქციონირებენ გამართულად საიდუმლო რეჟიმში, ვინაიდან, თუ საიდუმლოებას ენიჭება უპირატესობა, პოლიტიკური რეჟიმი უბრალოდ ხდება

არადემოკრატიული, რადგანაც მისი მოქალაქეები ვეღარ ღებულობენ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებები შეიძლება დარჩეს კონტროლს მიღმა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულებაც გახდეს შეუძლებელი. ამავე დროს, შესაძლებელია ეფექტურად მართულ სახელმწიფოშიც აუცილებელი გახდეს ინფორმაციაზე საჯარო წვდომის შეზღუდვა დემოკრატიის გამართული ფუნქციონირების შესანარჩუნებლად. მაშასადამე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ამ ხელმისაწვდომობის გარკვეული შეზღუდვები თანაბრად უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინტერესების დაცვას.

ძირითადი კონცეფცია: ეროვნული უსაფრთხოება, როგორც საიდუმლოების განმაპირობებელი გარემოება

ძირითადი კონცეპტუალური მოცემულობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ, ღია მმართველობა და ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა, ხოლო მეორეს მხრივ, გარკვეულ ზღვრამდე ამ წვდომის შეზღუდვა, სასარგებლოა საჯარო ინტერესისათვის. საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპის შესაბამისად, მთავრობების მიერ მხარდაჭერილი უნდა იქნას „უფლება ინფორმირებულობაზე“ და ამავდროულად ამ უფლებაზე შეიძლება დანესდეს გონივრული შეზღუდვები გარკვეული კატეგორიის საჯარო ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის მიზნით. ეს უკანასკნელი აუცილებელია სახელმწიფოს საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის გარკვეულ სფეროებში, კერძოდ ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში.

სახელმწიფო საქმიანობის ამგვარ საიდუმლოებასთან დაკავშირებულ მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, თუ როდის და რა შემთხვევაში არის ინფორმაციაზე საჯარო წვდომის შეზღუდვები ლეგიტიმური. ჯანსაღი დემოკრატიების მისწრაფების საგანს წარმოადგენს ინფორმაციაზე სათანადო საჯარო წვდომის უზრუნველყოფა და ამავდროულად ამ წვდომაზე გარკვეული შეზღუდვების ლეგიტიმური ფარგლების დანესება. ამ ორ მოცემულობას შორის ადეკვატური ბალანსის უზრუნველყოფა მეტწილად დამოკიდებულია ქვეყნის ისტორიაზე, საზოგადოებრივ ფასეულობებსა და სხვა კულტურულ ფაქტორებზე. სწორედაც რომ ეს არის იმ საერთაშორისო

სტანდარტების დადგენის სირთულის მიზეზი, რომელიც უნდა დაეხმაროს სახელმწიფოებს სწორი ბალანსის მიღწევაში (საერთაშორისო გამჭვირვალობა, გაერთიანებული სამეფო, Transparency International, UK 2014 წ.). პრაქტიკაში ზუსტი საერთაშორისო სტანდარტები არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მრავალი ინტელექტუალური დებატი გაიმართა და მრავალ მცდელობას ჰქონდა ადგილი შემუშავებულიყო რამდენიმე საერთო პრინციპი.¹

კონტროლის განუხორციელებლობის შემთხვევაში დასაიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის პრაქტიკა მარტივად შეიძენს მზარდ და გავრცელებულ ხასიათს. გარკვეულ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც საქმიანობენ ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვის, კრიმინალური გამოძიების, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა, თუ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში, ახასიათებთ ტენდენცია მათი ყველა მოქმედება მოაქციონ საიდუმლოების რეჟიმში, მაშინაც კი, როდესაც ამით ირღვევა მოქალაქეთა უფლება იცოდნენ მთავრობის საქმიანობის შესახებ. გარდა იმისა, რომ „საიდუმლოების აპარატის“ ფუნქციონირება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, დასაიდუმლოების პროცესის მზარდი და გავრცელებული ხასიათი ხელს

¹ იხილეთ ცვანეს პრინციპები The Tschwane Principles (2013): <https://www.opensocietyfoundations.org/fact-sheets/tshwane-principles-national-security-and-right-information-overview-15-points>

უნყოფს საზოგადოებრივი ნდობის შემცირებას სამთავრობო ინსტიტუციების მიმართ და საბოლოოდ დემოკრატიული ლეგიტიმურობის შესუსტებას. ინფორმაციის ჭარბი დასაიდუმლოება ასევე ინვესს უფრო მეტი შეცდომების დაშვებასა და დარღვევების ჩადენას, ვიდრე გამჭვირვალობა და საზოგადოებრივი კონტროლი, რადგანაც გამჭვირვალობის ნაკლებობა ართულებს საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებასა და ცუდი პრაქტიკის გამოსწორებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, ჭარბმა დასაიდუმლოების პრაქტიკამ შეიძლება უფრო დაზიანოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები, ვიდრე ლიბობამ.

როგორც ზოგიერთი საჯარო მოხელე ამტკიცებს, - მაგალითად შეერთებულ შტატებში - მომეტებული საიდუმლოება „უსაფუძვლოდ ზღუდავს ინფორმაციის გაზიარებას როგორც მთავრობის შიგნით, ასევე მის გარეთ, საჯარო პოლიტიკის საზიანოდ“ (ავტერგუდი, *Aftergood 2009* წ., გვ. 400). აღნიშნული მიუთითებს ინფორმაციის ჭარბ დასაიდუმლოებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ უწყებების მიერ ხდება მათ ხელთ არსებული ინფორმაციის რეალურად საჭიროზე ბევრად დიდი მოცულობის დასაიდუმლოება.

დასაიდუმლოების ნებისმიერი სისტემის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ხელყოფს ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ ისეთი კატეგორიების ბუნდოვანება, როგორცაა „ეროვნული უსაფრთხოება“ და „უსაფრთხოების საფრთხე“, მარტივად უხსნის გზას ინფორმაციის მომეტებულ დასაიდუმლოებას. ფაქტობრივი და სუბიექტური ინფორმაციის გამიჯვნის სირთულე აბრკოლებს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმის შემუშავებას, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ინფორმაციის მართებული დასაიდუმლოება.

ინფორმაციის ჯანსაღი დასაიდუმლოება თავისთავად საკმაოდ რთული ცნებაა, მაგრამ კონცეპტუალურად შეიძლება შევთანხმდეთ, რომ „ჯანსაღი“ დასაიდუმლოება ნიშნავს გონივრულ და შეძლებისდაგვარად მცირე

გამონაკლისს ლიბობის, გამჭვირვალობისა და ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის დემოკრატიულ ფასეულობებთან შედარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამჭვირვალობის გონივრული შეზღუდვა უნდა იყოს: ა) საგამონაკლისო, და ბ) იცავდეს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ინტერესებს. აღნიშნული დასკვნა ასევე მოიაზრებს იმასაც, რომ თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროებში არსებობს ისეთი ინფორმაცია, რომლის დაფარვა არ არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეროვნული უსაფრთხოებისათვის და, შესაბამისად უსაფრთხოდ შეიძლება იქნას გამჟღავნებული - სრულად ან ნაწილობრივ.

ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყანაში კვლავ გაბატონებულია ტრადიციული მიდგომა, რომლის თანახმადაც გამჭვირვალობა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქის მოთხოვნას, ხოლო საიდუმლოება, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ემსახურება საჯარო ინტერესებს. მაგალითად, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტის მოადგილემ, ბატონმა ჟან მარკ სოვემ საფრანგეთის ეროვნული ასამბლეისადმი - საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატისადმი თავის 2011 წლის 5 ივლისის მიმართვაში აღნიშნა შემდეგი: *‘სწორედ, ამ გზით უნდა ვიაროთ, რათა გავავლოთ ხაზი, რომელიც გამიჯნავს, ერთის მხრივ, საჯარო ინტერესებს, რომლებიც ითხოვს საიდუმლოებას და, მეორეს მხრივ, გამჭვირვალობას რომელსაც ითხოვენ მოქალაქეები.’* (სოვე, *Sauvé, 2011* წ., გვ. 6). აღნიშნული განცხადება ეფუძნება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც საიდუმლოების შენარჩუნება ემსახურება საჯარო ინტერესების დაცვას, მაშინ როდესაც გამჭვირვალობა ემსახურება არა საჯარო ინტერესს, არამედ მხოლოდ მოქალაქეთა და ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობით განპირობებულ მოთხოვნას. აღნიშნული მოსაზრება ძალიან საეჭვოა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საჯარო ინტერესების დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ვინაიდან ხელს უწყობს საჯარო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებასა და სხვა დემოკრატიული კონტროლის მექანიზმე-

ბის არსებობას. შესაბამისად გამჭვირვალობა, და არა საიდუმლოება შეიძლება მიჩნეულ იქნას *დამაკავშირებელ ხიდად* „ერთმანეთისაგან ბუნებრივად დაშორებულ სახელმწიფოსა და მისსავე საზოგადოებას შორის“ (ფენსტერი, Fenster 2010 წ., გვ. 619).

არსებობს ფართო საერთაშორისო კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკისა და საჯარო ინსტიტუტების საქმიანობის გამჭვირვალობა უნდა მივიჩნიოთ ზოგად წესად, მაშინ როდესაც საიდუმლოება უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს. ამასთანავე, ასეთი გამონაკლისები უნდა იყოს დასაბუთებული: მათი გამართლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი ისინი ლეგიტიმურია. ისინი ლეგიტიმურად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უტყუარად დადასტურდება, რომ ემსახურებიან ეროვნული უსაფრთხოების ქვეყნის ინტერესებს.

ლეგიტიმურ და უკანონო დასაიდუმლოების პროცესებს შორის განსხვავების საჭიროება წარმოშობს დასაიდუმლოების მწარმოებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ კონტროლის განხორციელების აუცილებლობას. დამოუკიდებელი კონტროლის განმარტოციელებელ ასეთ ინსტიტუტებს შეიძლება წარმოადგენდნენ სასამართლოები, ან უფრო მეტად სპეციალიზებული საჯარო უწყებები და მათ უნდა ევალებოდეთ განსაზღვრონ რამდენად არსებითად მნიშვნელოვანი და ნამდვილია ეროვნული უსაფრთხოების ის ინტერესები, რომელთა დასაცავადაც მოწოდებულია ინფორმაციის დასაიდუმლოების პროცესი. გარე კონტროლის მექანიზმების გარეშე, ინფორმაციის დასაიდუმლოების გადანყვეტილებები შეიძენს უკიდურესად დისკრეციულ და სავარაუდოდ უმეტეს შემთხვევაში თვითნებურ ხასიათს. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისტორიულად სასამართლოები თამაშობდნენ და დღესაც ინარჩუნებენ როლს, რომელიც ზედმეტად ნყალობს უსაფრთხოებისა, თუ სადაზვერვო სამსახურებს მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობისას.

კონცეპტუალურად, სრული გამჭვირვალობა არ არის სასურველი და ალბათ შეუძლებელიცაა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული. გარდა ამისა, სახელმწიფოს ყოველთვის მოუწევს საქმიანობა გარკვეულ დაფარულ, ან ბუნდოვან სფეროებში. როგორც ფენსტერი (Fenster 2010, გვ. 623) აღნიშნავს, საიდუმლოებასა და გამჭვირვალობას შორის ხშირად არსებობს ზონა, სადაც საიდუმლოება მაინცდამაინც არ უპირისპირდება გამჭვირვალობას. პრაქტიკაში, საიდუმლოება და გამჭვირვალობა არ ქმნიან მკვეთრად ურთიერთგამიჯნულ და წინააღმდეგობრივ მოცემულობას, ვინაიდან ორივე: საიდუმლოებაც და გამჭვირვალობაც საჭიროებს განცალკევებულ ინსტიტუციურ საფუძვლებს, და ისინი სტრუქტურულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (რიზი, Riese 2014, გვ. 14).

მეტი გამჭვირვალობა, მაინც და მაინც, არ უნდა ნიშნავდეს ნაკლებ საიდუმლოებას, მაგრამ უკეთესი ხარისხის გამჭვირვალობა მეტად დაიცავს კონფიდენციალობას. მეტი გამჭვირვალობა ნიშნავს იმას, რომ საიდუმლოების მხოლოდ რეალური საჭიროებები იქნება დაცული. გამჭვირვალობის პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი შედარებით ახალია უმრავლეს ქვეყანაში, მაშინ, როდესაც საიდუმლოების ინსტიტუციონალიზაცია სათავეს იღებს დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ტრადიციებიდან. თითოეული ამ ტრადიციისათვის დამახასიათებელი ფასეულობები და ინტერესები არაერთგვაროვანია და გარკვეულწილად შეუთავსებადიც. სირთულე მდგომარეობს იმაში, თუ თანდათანობით როგორ მოვახდინოთ ინფორმირებულობის უფლების ინსტიტუციონალიზაციის და რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე ინფორმაციის დასაიდუმლოების ჰარმონიზაცია იმ საორგანიზაციო სტრუქტურებში, რომლებიც მათ მართავენ და ასევე ზოგადად მმართველობით პრაქტიკაში. ამ ორ მიმდინარეობას შორის თავსებადობის ძიება უნდა ემსახურებოდეს ერთიანი, ინტეგრირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებას და სახელმწიფოების შიგნით ინფორმაციაზე წვდომის უფლების უფრო მეტად თანმიმდევრულ ინსტიტუციო-

ნალიზაციას, ეროვნული უსაფრთხოების საჭიროებების გათვალისწინებით.

თუმცა, კატეგორია „ეროვნული უსაფრთხოება“ იმდენად განუსაზღვრელია, რომ მან შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინოს სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში, რაც უფრო მეტად ართულებს საკითხს. იაკობსენის (Jacobsen, 2013 წ.) მიერ გამოკვლეული ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში, ეროვნული უსაფრთხოება სხვადასხვა დოზით მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებს, ისევე როგორც შიდა საფრთხეებს. სხვაგვარად რომ ჩამოვაცალიბოთ, მკვეთრი ზღვარი მაინცდამაინც არ შეინიშნება.

სახელმწიფო საიდუმლოების ლეგიტიმურობის განსაზღვრის მიზნით, აფტერგუდი (Aftergood, 2009, გვ. 402-403) გეთავაზობს საიდუმლოების სამ კატეგორიად დაყოფას, და ამავდროულად აცნობიერებს, რომ საჯარო პოლიტიკის მუდმივ ამოცანას წარმოადგენს ლეგიტიმური საიდუმლოების არალეგიტიმურისაგან გამიჯვნა, რომელთაგან პირველი უნდა შენარჩუნდეს, ხოლო მეორე უნდა იქნას გამოაშკარავებული და გასაჯაროებული:

1. ეროვნული უსაფრთხოების ქვეშარტი ინტერესების შესაბამისი საიდუმლოება: ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც წარმოშობს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების იდენტიფიცირებადი ხელყოფის საფრთხეს, რაც გამოიხატება თავდაცვის-უნარიანობის, ან საგარეო ურთიერთობების წარმართვის უნარის დასუსტების საფრთხეებში. ამგვარი ინფორმაციის დასაიდუმლოება არ არის სადავო, ვინაიდან წარმოადგენს დასაიდუმლოების ყველა სისტემის მთავარ პრინციპს და ამ ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვა ემსახურება საზოგადოების ინტერესებს.

2. ბიუროკრატიული საიდუმლოება: ბიუროკრატიების მისწრაფება გაასაიდუმლოონ ინფორმაცია თავიანთი კომფორტის უზრუნველყოფის მიზნით, ან დაუსაბუთებელი ეჭვის საფუძველზე, რომლის თანახმადაც კონკრეტული ინფორმაციის გასაჯაროება შეი-

ძლება უფრო მეტ რისკს შეიცავდეს, ვიდრე მისი დასაიდუმლოება. ბიუროკრატიების ასეთი მისწრაფება, როგორც წესი, შედეგად იწვევს გადაჭარბებულ დასაიდუმლოებას და გამოიხატება გაუმართლებლად დიდი მოცულობის დასაიდუმლოებული ინფორმაციის არსებობაში. ის ასევე ზრდის საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებულ საბიუჯეტო ხარჯებს და ხშირად ემსახურება ბიუროკრატიის პატივმოყვარეობას და იმის არ გამჟღავნების სურვილს, თუ როგორ ასრულებს კონკრეტული სამთავრობო დანეხებულება თავის ფუნქციებს.

3. პოლიტიკური საიდუმლოება: დასაიდუმლოების პროცესის გამოყენება პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით. საიდუმლოების აღნიშნული ფორმა ყველაზე მეტად დასაგმობია, ვინაიდან ის იყენებს ეროვნული უსაფრთხოების ქვეშარტი ინტერესების აღიარებულ ლეგიტიმურობას კერძო დღის წესრიგის დასაკმაყოფილებლად, პოლიტიკურად არაერთმნიშვნელოვანი საკითხების, ანდა საჯარო ანგარიშვალდებულების ასარიდებლად. უმძიმეს შემთხვევებში, პოლიტიკური საიდუმლოება გამოაშკარავებისგან იცავს უკანონო ქმედებების, ადამიანის უფლებების დარღვევის, კორუფციის, ან არაეფექტური მართვის ფაქტებს, და საფრთხეს უქმნის პოლიტიკური პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვას.

მართლმსაჯულების ზოგადად სუსტი როლი დასაიდუმლოების სისტემების კონტროლის პროცესში

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სასამართლოები ტრადიციულად იყენებდნენ და კვლავაც არიან ლოიალურები დასაიდუმლოების უფლებამოსილების მქონე დანეხებულებებისა და მათი ეგრეთ წოდებული „სახელმწიფო საიდუმლოების აღმასრულებელი პრივილეგიის“ მიმართ. სასამართლოების ამგვარმა განწყობამ ხელი შეუწყო მყარად დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეროვნული უსაფრთხოების საკითხები ამდენად მგრძობიარ-

ეა, რომ მათი გამჟღავნება სასამართლოების წინაშეც კი შეუძლებელია (სეთი, Setty 2012 წ.). აღნიშნულს ნათლად ადასტურებს შეერთებული შტატების მაგალითი ცივი ომის პერიოდის ცნობილი საქმის *შეერთებული შტატები რეინ-ოლდსის წინააღმდეგ* სახით.²

შეერთებულ შტატებში სასამართლოების ლოიალურობამ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიმართ კიდევ უფრო იმატა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ - როგორც მათ ხშირად უწოდებენ „9/11.“ სასამართლო პროცესებზე მთავრობის პოზიცია ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით მუდმივად პრევალირებდა ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ღია მმართველობის პრინციპებზე. შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში და დემოკრატიული სამყაროს სხვა ქვეყნებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ნაკლებად დემოკრატიულ ქვეყნებზე, მრავალი სასამართლო საქმე მიუთითებს მოსამართლის როლის ვინაობა გაგებით აღქმის მდგრად ტენდენციებზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებების გადასინჯვის პროცესში. სამწუხაროდ, ყოველივე ამან შეიძლება დააზიანოს ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის პროცესი, კანონის უზენაესობა და უსაფრთხოების ჭეშმარიტი ინტერესების მიმართ პატივისცემა.

„სახელმწიფო საიდუმლოების აღმასრულებელი პრივილეგია“ აშშ-ში ან „ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის უფლება საჯარო ინტერესების სახელით“ გაერთიანებულ სამეფოში, ან „თავდაცვის საიდუმლო“ საფრანგეთში დასაიდუმლოების უფლებამოსილების მქონე საჯარო დაწესებულებების მიერ ხშირად გამოიყენება საქმის სასამართლოში განხილვის თავიდან აცილების, ან სასამართლო განხილვის ნაკლებად ეფექტურად წარმართვის მიზნით. ღიაობის პრინციპის გამოწვევების დაშვებას ზემოაღნიშნული სამი პირობის საფუძველზე სასამართლო როგორც წესი მისაღებად მიიჩნევა - მაშინაც კი, როდესაც

სასამართლოები დრო და დრო ბუნდოვნად აცხადებენ, რომ პრივილეგია უნდა მიენიჭოს მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების ჭეშმარიტი ინტერესებთან დაკავშირებულ შემთხვევებს. აღნიშნული საკმაოდ გავრცელებული პოზიცია ძირითადად მიუთითებს „სასამართლოს მიერ კონტროლისა და ბალანსის პრინციპის უგულვებელყოფაზე, სამოსამართლო პასუხისმგებლობის მოხსნასა და მომჩივანთა ინტერესების გაუთვალისწინებლობაზე, რომელთაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დაცულ იყვნენ მთავრობის მიერ უფლებამოსილების გადაქცევისაგან.“ (სეთი, Setty 2012 წ., გვ. 1573)

ფუქსმა (Fuchs 2006 წ., გვ.168) სასამართლოების როლის შესახებ მნიშვნელოვან კვლევაში, დაადგინა, რომ „იმ არსებითი ღირებულებების გათვალისწინებით, რომლებიც განპირობებულია მთავრობის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებით, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ დასაიდუმლოების ლეგიტიმური საჭიროების არსებობის შემთხვევაში... არც პარლამენტებს და არც საზოგადოებას, ცალკე აღებულს, არ აქვთ უნარი შეეწინააღმდეგონ გადაჭარბებულ საიდუმლოებას. დამოუკიდებელი გადასინჯვა შეადგენს სასამართლოს პასუხისმგებლობის ნაწილს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მთავრობამ იმოქმედოს მხოლოდ სათანადო უფლებამოსილების ფარგლებში.“ მხოლოდ სასამართლოებს გააჩნიათ საკმარისი დამოუკიდებლობა იმისათვის, რომ წინ აღუდგნენ გადაჭარბებულ დასაიდუმლოებას, მაგრამ როგორც ჩანს, წერს ფუქსი, სასამართლოებმა უარი განაცხადეს ამ მისიის შესრულებაზე.

იაკობსენის (Jacobsen 2013 წ.) მიერ გამოკვლეულ თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში სასამართლოებს გააჩნიათ უფლებამოსილება განიხილონ საიდუმლოდ აღიარებული ინფორმაცია, რომლის საიდუმლოდ შენარჩუნებასაც ითხოვს მთავრობა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მხოლოდ სპეციალური ნებართვის მქონე სასამართლოებს, ან მოსამართლეებს აქვთ საიდუმლო ინფორმაციის განხილვის უფლება. გერმანი-

2 <https://supreme.justia.com/cases/federal/us/345/1/case.html>

ამი მხოლოდ ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს შეუძლია დასაიდუმლოებული ინფორმაციის განხილვა. ესპანეთში, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლეებისათვის წვდომის დაშვების არსებობას, როგორც ეს ხდება კონგრესსა და სენატთან დაკავშირებით, ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ მას გააჩნია უფლება განიხილოს მთავრობის მიერ საიდუმლოდ ცნობილი ინფორმაცია. ერთადერთი ქვეყანა, სადაც სასამართლოებს უფლება არ აქვთ პირდაპირ განიხილონ საიდუმლო ინფორმაცია, საფრანგეთია (სარტრი და ფერლე, Sartre and Ferlet 2010 წ.). ამჟამად, რომ ფრანგი მოსამართლისთვის შეუძლებელია პირდაპირ განიხილოს დასაიდუმლოებული ინფორმაცია. ამ აკრძალვის შედეგების შემსუბუქების მიზნით, 1998 წლის კანონით დაარსდა ეროვნული თავდაცვის საიდუმლოების კომისია (CSDN, *Commission du secret défense nationale*). ესაა დამოუკიდებელი კომისია, რომელსაც მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე ენიჭება უფლებამოსილება გაეცნოს საიდუმლო ინფორმაციას, რათა შეაფასოს ამგვარი ინფორმაციის განსაიდუმლოების შესაძლებლობა.³ როგორც აშშ-ში, ასევე ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში სასამართლოები ჩვეულებისამებრ ეყრდნობიან საჯარო დაწესებულებების დასკვნას საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების შედეგად ეროვნული უსაფრთხოების მოსალოდნელი ხელყოფის თაობაზე (იაკობსენი, Jacobsen 2013 წ.).

დასაიდუმლოების კრიტიკიკა და საიდუმლოების ღონეები

საიდუმლოების ხარისხი (ღონეები) იმდაგვარადაა სტანდარტიზებული, რომ ერთი და იგივე სისტემა შესაძლებელია მოქმედებდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მრავალ წევრ-სახელმწიფოში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო-ს)

3 <http://www.defense.gouv.fr/sga/le-sga-en-action/droit-et-defense/secret-defense/secret-defense>

ქვეყნებიდან, სახელმწიფო საიდუმლოების მართვის თვალსაზრისით, კარგ მაგალითს წარმოადგენს ახალი ზელანდია. ახალ ზელანდიაში ოფიციალური ინფორმაცია დაცულია ინფორმაციის დაცვის საჭიროების ზუსტ ცნებებზე დაფუძნებული კრიტერიუმების შესაბამისად: ინფორმაცია დაცული უნდა იქნას იმ ხარისხით და ფარგლებში, რაც თავსებადია საჯარო ინტერესთან და პირადი მონაცემების დაცვასთან. აღნიშნული ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხის კატეგორიზირება გამომდინარეობს იმ ზიანიდან, რომელიც შეიძლება დამდგარიყოს ამ ინფორმაციის უნებართვო გამჟღავნების შედეგად და ამავდროულად განსაზღვრავს დაცვის შესაბამის ღონისძიებებს.⁴ ახალი ზელანდიის დირექტივების შესაბამისად, ინფორმაციის დასაიდუმლოება თავისთავად არ ნიშნავს ამ ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვას; თავად ინფორმაცია უნდა შეფასდეს კანონის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.⁵ ავსტრალიის უსაფრთხოების დასაიდუმლოების სისტემა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ განსაზღვრავს დასაიდუმლოებისა და განსაიდუმლოების მკაფიო პროცედურებს.⁶ ახალ ზელანდიაში საიდუმლოების ღონეების (ხარისხი) განსაზღვრა მეტწილად იზიარებს საერთაშორისო პრაქტიკას და დამოკიდებულია დასაცავი საჯარო ინტერესის თავისებურებაზე:

■ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული: გასაჯაროება შეიცავს უსაფრთხოების, თავდაცვის, ან ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების წინააღმდეგ მიმართულ რისკებს, ან მეგობარი ქვეყნების მიმართ არსებულ რისკებს, ან

4 ახალი ზელანდიის კანონი ოფიციალური ინფორმაციის შესახებ, 1982 წ

5 ახალი ზელანდიის დირექტივები ოფიციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით <https://protectivesecurity.govt.nz/home/information-security-management-protocol/new-zealand-government-security-classification-system/>

6 ავსტრალია (2014): ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის გზამკვლევი. ავსტრალიის მთავრობის დასაიდუმლოების სისტემა <https://protectivesecurity.govt.nz/home/information-security-management-protocol/new-zealand-government-security-classification-system/>

- სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებასთან და/ან პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებული: გასაჯაროება საფრთხეს შეუქმნის მთავრობის ფუნქციონირებას, ან ზარალს მიაყენებს რომელიმე პიროვნებას.

ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია დაცულია საიდუმლოების შემდეგი დონეებით შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე: (საიდუმლოების დონეების თარგმნისას ჩვენ ვარჩიეთ გამოგვეყენებინა 'სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ' საქართველოს კანონში განსაზღვრული ტერმინოლოგია, რომელიც უფრო გასაგებია ქართველი მკითხველისთვის, თუმცა არ წარმოადგენს ინგლისური ტერმინების ზუსტ ანალოგს. მთარგმნელის შენიშვნა)

1. განსაკუთრებული მნიშვნელობის: ინფორმაციის გასაჯაროებამ შეიძლება დააზიანოს ეროვნული ინტერესები უკიდურესად მძიმე ფორმით:

- პირდაპირ ხელყოს ახალი ზელანდიის ან მისი მეგობარი ქვეყნების შიდა სტაბილურობა

- პირდაპირ გამოიწვიოს სიცოცხლის ფართომასშტაბიანი მოსპობა
- პირდაპირ ხელყოს ახალი ზელანდიის ან მისი მეგობარი ქვეყნების შიდა სტაბილურობა
- უკიდურესად დააზიანოს ახალი ზელანდიის, ან მოკავშირეების ძალების უსაფრთხოება
- უკიდურესად დააზიანოს ახალი ზელანდიის ან მეგობარი ქვეყნების ძალების ოპერატიული ეფექტურობა
- უკიდურესად დააზიანოს უაღრესად მნიშვნელოვანი უსაფრთხოების, ან სადაზვერვო ოპერაციების უწყვეტი ეფექტურობა
- უკიდურესად დააზიანოს სხვა სახელმწიფოებთან არსებული ურთიერთობები
- მძიმე გრძელვადიანი ზიანი მიაყენოს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ეროვნულ ინფრასტრუქტურას

2. სრულიად საიდუმლო: ინფორმაციის გასაჯაროებამ შეიძლება სერიოზულად დააზიანოს ეროვნული ინტერესები:

- გააღვივოს საერთაშორისო დაძაბულობა
- სერიოზულად დააზიანოს მეგობარ სახელმწიფოებთან არსებული ურთიერთობები
- სერიოზულად დააზიანოს ახალი ზელანდიის ძალების, ან მოკავშირეების ძალების უსაფრთხოება
- სერიოზულად დააზიანოს ახალი ზელანდიის, ან მეგობარი ქვეყნების ძალების ოპერატიული ეფექტურობა
- სერიოზულად დააზიანოს მნიშვნელოვანი უსაფრთხოების, ან სადაზვერვო ოპერაციების ეფექტურობა
- სერიოზულად დააზიანოს ახალი ზელანდიის, ან მისი მეგობარი ქვეყნების შიდა სტაბილურობა
- შეწყვიტოს, ან არსებითად შეაფერხოს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ეროვნული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება

3. საიდუმლო: ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ეროვნული ინტერესები:

- არსებითად დააზიანოს დიპლომატიური ურთიერთობები - გამოიწვიოს ოფიციალური პროტესტები, ან სხვაგვარი სანქციები
- დააზიანოს ახალი ზელანდიის, ან მეგობარი ქვეყნების ძალების ოპერატიული ეფექტურობა
- დააზიანოს ახალი ზელანდიის ძალების, ან მეგობარი ქვეყნების ძალების უსაფრთხოება
- დააზიანოს მნიშვნელოვანი უსაფრთხოების, ან სადაზვერვო ოპერაციების ეფექტურობა
- დააზიანოს ახალი ზელანდიის, ან მისი მეგობარი ქვეყნების შიდა სტაბილურობა
- შეაფერხოს არსებითი მნიშვნელობის მქონე ეროვნული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება

4. შეზღუდული სარგებლობისათვის: ინფორმაციის გასაჯაროებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეროვნულ ინტერესებზე:

- უარყოფითად იმოქმედოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე
- შეამციროს ახალი ზელანდიის, ან მეგობარი ქვეყნების ძალების ოპერატიული ეფექტურობა
- შეასუსტოს ახალი ზელანდიის ძალების, ან მეგობარი ქვეყნების ძალების უსაფრთხოება
- უარყოფითად იმოქმედოს ახალი ზელანდიის, ან მისი მეგობარი ქვეყნების შიდა სტაბილურობაზე
- უარყოფითად იმოქმედოს ახალი ზელანდიის, ან მეგობარი ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე
- სამთავრობო უწყებების საქმიანობა და კერძო პირთა პირადი ცხოვრება დაცულია შემდეგი დონეებით და კრიტერიუმების საფუძველზე:

1. მგრძობიარე და შეზღუდული სარგებლობისათვის: გასაჯაროებამ შეიძლება დააზიანოს მთავრობის ინტერესები, ანდა საფრთხე შეუქმნას მოქალაქეებს:

- საფრთხე შეუქმნას ნებისმიერ პირს
- სერიოზულად დააზიანოს ახალი ზელანდიის ეკონომიკა
- ხელი შეუშალოს სამთავრობო მოლაპარაკებებს

2. კონფიდენციალურობის დაცვის პირობით: შეიძლება ზიანი მიაყენოს კანონიერებასა და ნესრიგს, ხელი შეუშალოს მთავრობის საქმიანობას, უარყოფითად იმოქმედოს მოქალაქეთა პირად ცხოვრებაზე:

- ზიანი მიაყენოს მართლწესრიგის დაცვის პროცესს
- უარყოფითად იმოქმედოს ფიზიკური პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე
- ზიანი მიაყენოს მოქალაქეთა კომერციული საიდუმლოების დაცვას

- ზიანი მიაყენოს დახურული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ვალდებულებების შესრულების პროცესს
- ზიანი მიაყენოს იმ ღონისძიებების განხორციელების პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ან უსაფრთხოების დაცვას
- ზიანი მიაყენოს ახალი ზელანდიის ეკონომიკურ ინტერესებს
- ზიანი მიაყენოს იმ ღონისძიებების განხორციელების პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის მოსალოდნელი მატერიალური ზიანის თავიდან აცილებას, ან ასეთი ზიანის შემცირებას
- დაარღვიოს კონსტიტუციური ნორმები
- ხელი შეუშალოს საჯარო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას
- შელახოს იურიდიული პროფესიის პრივილეგიები
- ხელი შეუშალოს მთავრობის კომერციულ საქმიანობას
- ინფორმაციის გამჟღავნება, ან გამოყენება არასათანადო გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით

როგორც უკვე აღინიშნა ინფორმაციის დასაიდუმლოების დონეები და კრიტერიუმები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბევრ წევრ-სახელმწიფოში მსგავსია. თურქეთშიც კი, სადაც დასაიდუმლოების წესები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, განსაზღვრულია დასაიდუმლოების დონეები (იაკობსენი, Jacobsen 2013). შევედეთი ერთადერთი ქვეყანა იყო იმათ შორის, ვინც მონაწილეობა მიიღო იაკობსენის მიერ ჩატარებულ კვლევაში (2013 წ.), სადაც კანონმდებლობა არ განსაზღვრავს დასაიდუმლოების ცალკეულ დონეებს, ვინაიდან შევედეთში დასაიდუმლოების პროცესი ემსახურება მხოლოდ ადმინისტრაციულ ფუნქციას.

ინფორმაციის დასაიდუმლოებასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები (მაგ. დასაიდუმლოების პროცედურები, დონეების განსაზღვრის მოთხოვნები, დასაიდუმლოების უფლებამოსი-

სიღების მქონე ორგანო, დასაიდუმლოების დასაბუთების ვალდებულება; ანგარიშვალდებულება არასათანადო დასაიდუმლოებისას, ზედამხედველობის განმარტოციელებელი უწყებები და ა.შ.) საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (იაკობსენი, Jacobsen 2013 წ. და საერთაშორისო გამჭვირვალობა, გაერთიანებული სამეფო, Transparency International UK 2014 წ.).

განსაიდუმლოების კრიტერიუმები

ევროპულ ქვეყნებში ინფორმაციის განსაიდუმლოებას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი კრიტერიუმი: ხანდაზმულობა, განმაპირობებელი ფაქტები, ან სავალდებულო გადასინჯვის პერიოდი. მთავარ მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მუდმივი საიდუმლოების რეჟიმის თავიდან აცილება. თუმცა იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში განსაიდუმლოების კრიტერიუმები არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობაში და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში. იაკობსენის (Jacobsen 2013) მიერ ჩატარებული გამოთვლების შესაბამისად, ევროპულ ქვეყნებში საიდუმლოების ვადა საშუალოდ შეადგენს 30 წელს, და ეს ვადა მერყეობს 10 წლიდან ნიდერლანდებში, 100 წლამდე რუმინეთში, მაშინ როდესაც ეს ვადა განსაზღვრული არაა ესპანეთსა და თურქეთში. თუმცა ევროპისთვის ეს უკანასკნელი საკმაოდ უჩვეულოა.

დასაიდუმლოებული ინფორმაციის სავალდებულო გადასინჯვის ყველაზე გავრცელებულ ვადას შეადგენს 5 წელი. შვედეთში დადგენილი არ არის წინასწარ განსაზღვრული გადასინჯვის სავალდებულო წესი, მაგრამ ნებისმიერ სახის ინფორმაციის საიდუმლოება უნდა გადასინჯოს, თუკი ხდება ამ ინფორმაციის განსაიდუმლოების მოთხოვნა. ავტომატური განსაიდუმლოების (განმაპირობებელი ფაქტი) წესები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, მაგრამ მათ უმრავლესობაში სხვადასხვა ხარისხის საიდუმლოდ ცნობილი ინფორმაციის განსაიდუმლოება უკავშირდება მთავრობის დისკრეციულ გადაწყვეტილებას. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება ასევე შედეგად მოსდევდეს მოქალაქის, ან სამოქალაქო ორგანი-

ზაციის მიერ ინფორმაციაზე წვდომის შესახებ კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებას.

საიდუმლოების კონტროლის ტესტი: ზიანის ტესტი და საჯარო ინტერესის ბალანსის ტესტი

კარგი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ნამახალისებელი არასამთავრობო ორგანიზაციის, *Right2INFO.org* შესაბამისად, ეგრეთ ნოდებული ზიანის ტესტი და საჯარო ინტერესის ტესტი სათავეს იღებს ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის პროპორციულობისა და საჭიროების განსაზღვრის მოთხოვნებიდან.⁷ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის SIGMA პროგრამა (2010) ითვალისწინებს ფართო და სიღრმისეულ კონცეპტუალურ მიდგომებს ამ ტესტების მიღმა არსებული ცნებების მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ინფორმაციაზე წვდომის აბსოლუტურ შეზღუდვებსა და შეფარდებით შეზღუდვებს შორის განსხვავებიდან. უკანასკნელებს შორის ძირითადად ასახელებენ თავდაცვის და ეროვნული უსაფრთხოების სფეროებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

ზიანის ტესტი

ზიანის ტესტის შესაბამისად, საჯარო უწყებამ უნდა დაამტკიცოს, რომ გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის გასაჯაროება შეიცავს დაცული საჯარო ინტერესის დაზიანების მუქარას. შესაბამისად, ინფორმაციის გასაჯაროება არ უნდა განხორციელდეს. ზიანის ტესტი მოითხოვს სახელმწიფოს მიერ გარკვეული საჯარო ინტერესის არსებითი და აშკარა ხელყოფის რისკის არსებობის დადასტურებას. ნაჩვენები უნდა იქნას, რომ შეზღუდვა გამომდინარეობს იდენტიფიცირებული საჯარო ინტერესიდან და ინფორმაციის განსაიდუმლოება არსებით ზიანს მიაყენებს ამ საჯარო ინტერესს. ასეთი ზიანი უნდა იყოს საკმარისად მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტული, გარდაუვალი და პირდაპირი, და არ უნდა იყოს სადაო, ან უმნიშვნელო.

7 <http://www.right2info.org/exceptions-to-access/harm-and-public-interest-test>

საჯარო ინტერესის ბალანსის ტესტი

საჯარო ინტერესის ბალანსის ტესტი დაკავშირებულია პროპორციულობასთან. აღნიშნული მოითხოვს შეფასებას, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის განსაიდუმლოებიდან გამომდინარე ზიანის დადგენას და მის შედარებას იმ საჯარო ინტერესთან, რომელსაც შეიძლება ემსახურებოდეს განსაიდუმლოება. გარემოებები, რომელთა შესაბამისადაც აშკარა და დეტალურმა საჯარო ინტერესმა შეიძლება გადაიხადოს დასაიდუმლოების მოთხოვნა, განსაზღვრული უნდა იქნას ეროვნული კანონმდებლობით. ბევრი ქვეყნის დასაიდუმლოების მოდელის შესაბამისად - მათ შორის ინტერ-ამერიკული და აფრიკული მოდელებისა, - საჯარო ინტერესი ხდება სავალდებულო და გადაიხადის სხვა ინტერესებს მაშინ, როდესაც ინფორმაცია უკავშირდება ადამიანის უფლებათა დარღვევასა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს. ბალანსის ტესტი მოითხოვს საჯარო უწყებისა თუ ზედამხედველი ორგანოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად გარკვეული დაცული ინტერესის ხელყოფის შეფასებას იმ საჯარო ინტერესის მიმართ, რომელსაც ემსახურება ამ ინფორმაციის განსაიდუმლოება.

საჯარო ინტერესის ცნება და შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია და მათი დადგენა ხშირად მოითხოვს კონკრეტული შემთხვევების შესწავლას. ზოგადად, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად დაცული საჯარო ინტერესი უკავშირდება პოლიტიკურ პროცესებს, პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის ანგარიშვალდებულებას და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხებს. ზოგადად მიღებულია, რომ საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვასთან, ჯანმრთელობის ხელყოფის მნიშვნელოვან საფრთხეებთან და ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებთან დაკავშირებული საკითხები ამართლებენ ინფორმაციის განსაიდუმლოების საჯარო ინტერესის სავალდებულო პრიორიტეტს.

ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიმუშავა საჯარო

მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი ადმინისტრაციულ პროცედურათა გზამკვლევები. მაგალითად, ახალ სამხრეთ უელსში, ავსტრალია, ინფორმაციის განსაიდუმლოების თაობაზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო მოხელეებმა უნდა იხელმძღვანელონ საჯარო ინტერესის ბალანსის ტესტით. ეს კინიშნავს, რომ მათ უნდა შეაფასონ ინფორმაციის გამჟღავნების გამამართლებელი ფაქტორები გამჟღავნების სანინალმდეგო საჯარო ინტერესის ფაქტორებთან მიმართებით.⁸ ამ გზამკვლევების შესაბამისად, საჯარო ინტერესის ბალანსის ტესტი მოიცავს სამ ეტაპს:

- ინფორმაციის გასაჯაროების გამამართლებელი საჯარო ინტერესის იდენტიფიცირება
- ინფორმაციის გასაჯაროების სანინალმდეგო საჯარო ინტერესის იდენტიფიცირება
- ინფორმაციის გასაჯაროების გამამართლებელი და სანინალმდეგო საჯარო ინტერესების შეფარდებითი ღირებულების განსაზღვრა და ბალანსის დადგენა ამ ინტერესებს შორის

ავსტრალიური კანონმდებლობის ინფორმაციის გასაჯაროების სასარგებლოდ აშკარა პოზიციის არსებობის მიუხედავად, პროვინციის დონის ინფორმაციაზე წვდომის შესახებ კანონები განსაზღვრავენ რიგ შემთხვევებს, რა დროსაც არსებობს პრეზუმპცია ინფორმაციის გასაჯაროებაზე უარის თქმისა და საიდუმლოების დაცვის სასარგებლოდ. ყველაზე თვალსაჩინოს ნარმოადგენს ისეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეადგენს უპირატესი ძალის მქონე საიდუმლოების შესახებ კანონის რეგულირების საგანს, სპეციალურად გამოყოფენ 26 ასეთ კანონს. აღნიშნული ნარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მრავალ წევრ-სახელმწიფოში არსებული ზოგადი ტენდენციის შედეგს, სადაც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონებმა (FOIA) პრაქტიკულად შეწყვიტეს თავისი მოქმედება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ ტრადიციულ კანონმდებლობასთან

8 <http://www.ipc.nsw.gov.au/fact-sheet-what-public-interest-test>

მიმართებით. სახელმწიფო საიდუმლოება როგორც ნების გატანილია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის რეგულირების სფეროდან. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ნაკლები მონდომება აღინიშნა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ ტრადიციული კანონმდებლობის საჯარო ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლების შესახებ ახალ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით.

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონებში ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საიდუმლოების გაუთვალისწინებლობის ფაქტი მიანიშნებს კანონმდებლობისა და სასამართლოსადმი მიმართვის, როგორც უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების საქმიანობაში ინფორმაციის დასაიდუმლოების მზარდი პროცესის ზოგად ტენდენციის შემცირებისკენ მიმართული საშუალებების ნაკლებ ეფექტურობაზე. ასეთი ტრადიციული და ხშირად გაუმჭვირვალე საქმიანობის განმახორციელებელ სამსახურებზე ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონები ძირითადად არ მოქმედებს, საჯარო გამჭვირვალობის ადვოკატირების ფართო საერთაშორისო ტენდენციის და სამოქალაქო საზოგადოების „ინფორმირებულობის უფლების“ უზრუნველყოფის მოთხოვნების მიუხედავად.

აღნიშნული მიანიშნებს, რომ ზოგადი კანონმდებლობის ამოქმედება, რომელიც ეფექტურად დააბალანსებს საიდუმლოებასა და ღიაობას, გამოწვევაა, როგორც კონცეპტუალური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ გამოწვევის ერთ-ერთი მიზეზია გარემოება, რომლის თანახმადაც სხვადასხვა საჯარო უწყებები, თუ სააგენტოები, რომლებსაც გააჩნიათ ინფორმაციის დასაიდუმლოების უფლებამოსილება, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ საკმაოდ განსხვავებული მოტივებითა და მიზნებით. აღნიშნული აძლიერებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მმართველობის სხვადასხვა კულტურებს. მაგალითად, სამხედრო უწყებები უპირველესად ფოკუსირდებიან იარაღის ტექნოლოგიებისა და ოპერატიული გეგმე-

ბის უსაფრთხოებაზე; სადაზვერვო სააგენტოები მიმართავენ ინფორმაციის წყაროებისა და საქმიანობის მეთოდების დაცვას; დიპლომატიების ინტერესის საგანს წარმოადგენს დიპლომატიური ინფორმაციის დასაიდუმლოებისა და გასაჯაროების შედეგები საერთაშორისო დონეზე; ხოლო პოლიციის ორგანოები იღწვიან, რათა დაიცვან თავიანთი ინფორმატორები და ოპერატიული გეგმები. აღნიშნული საჭიროებებიდან გამომდინარე, თითოეული სააგენტო, თუ ინსტიტუცია შეიმუშავებს საკუთარ გზამკვლევებს, პროცედურებსა და პროტოკოლებს, რომლებიც მოქმედებენ წლების განმავლობაში და თანაც არ ხდება მათი ძირეული შესწავლა და საფუძვლიანი გადასინჯვა. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება ჩამოთვლილი უწყებების თანამშრომლების არასაჭირო პრობლემების თავიდან აცილების სურვილით განპირობებული ფრთხილი მოქმედებები, რაც ხშირად იწვევს გადაჭარბებული დასაიდუმლოების სიმპტომს (აფტერგუდი, Aftergood 2009 წ.).

ამის შედეგად, გათვითცნობიერებული დამკვირვებლები და პრაქტიკოსები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამის უწყებას მიენიჭება ინფორმაციის დასაიდუმლოების უფლებამოსილება, ამ ინფორმაციის განსაიდუმლოება უნდა ხორციელდებოდეს ამ უწყებისაგან დამოუკიდებლად, მის გარეთ. ეს არის საუკეთესო საშუალება გაბათილებული იქნას უწყების კერძო ინტერესი და მას ალექვეთოს გადაჭარბებული დასაიდუმლოების შესაძლებლობა (აფტერგუდი, Aftergood 2009 წ., გვ.412). რამდენიმე ასეთ ნარმატიულ მცდელობას ადგილი ჰქონდა შეერთებულ შტატებში, მაგალითად უსაფრთხოების დასაიდუმლოების უწყებათაშორისი სააპელაციო სამუშაო ჯგუფი (ISCAP)⁹ და დასაიდუმლოების პოლიტიკის ფუნდამენტური გადასინჯვა (FCPR)¹⁰.

9 <https://www.archives.gov/declassification/iscap>

10 <https://www.dni.gov/files/documents/Newsroom/Reports%20and%20Pubs/ODNI%20FY2017%20FCGR.pdf>: აგრეთვე იხილეთ 1994 წლის ენერგეტიკის დეპარტამენტის ინოვაციური მიმოხილვა: <https://www.osti.gov/opennet/forms.jsp?formurl=od/fcprsum.html>

საფრანგეთში მსგავს მაგალითს წარმოადგენს CSDN - ეროვნული თავდაცვის საიდუმლოების საკონსულტაციო კომისია (იხ. ზემოთ). აფტერგუდის (Aftergood 2009 წ.) მიერ აღწერილი ამერიკული გამოცდილება, არსებითად ნიშნავს, რომ „თუ ერთ უწყებას არ შეუძლია წარმატებით ახსნას და დაარწმუნოს სხვა უწყებების მაღალი თანამდებობის პირები, ან სამუშაო ჯგუფი იმაში, თუ რატომ მოითხოვს ეროვნული უსაფრთხოება გარკვეული საკითხის დასაიდუმლოებას, მაშინ წარმოიშობა საფუძველი, რათა ეჭვი იქნას შეტანილი ამ საკითხის საიდუმლოდ დაცვის გაგრძელების აუცილებლობაში“.

დასკვნები

1. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში ინფორმაციის საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებობა აუცილებელია და იგი შეძლებისდაგვარად ზუსტი უნდა იყოს. ასეთი კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს ინფორმაციის დასაიდუმლოებისა და გასაჯაროების კრიტერიუმებს; ამავდროულად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ თავისი არსით ეს კანონმდებლობა იქნება ზოგადი ხასიათის, რაც შესაბამისად განაპირობებს აღნიშნული კრიტერიუმების ზოგად ბუნებასაც. საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც მრავალ ქვეყანაში უფრო ადრე იქნა მიღებული, ვიდრე ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ კანონები, ჰარმონიზებული უნდა იქნას ამ უკანასკნელთან, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში შეუსაბამოების თავიდან აცილების მიზნით.
2. განვითარებულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან ერთად, აუცილებელია უწყებრივ დონეზე შეგნებული და უნარიანი მმართველი რგოლის არსებობა დასაიდუმლოების სამართლებრივი კრიტერიუმების გონივრული, თუ მართლზომიერი გამოყენების უზრუნველსაყოფად, დემოკრატიული ფასეულობებისა და საზოგადოებრივი გამჭვირვალობის მაქსიმალურად გაძლიერების მიზნით. განსხვავებული პოზიციების დაბალანსების საჭიროების ცნობიერი აღქმა ორგანიზაციული კულტურის ნაწილი უნდა იყოს. უწყების ხელმძღვანელები ლეგიტიმურ საიდუმლოებასა და ლეგიტიმურ გამჭვირვალობას შორის დაბალანსებული მიდგომის მიღწევას საკუთარ ამოცანად უნდა მიიჩნევდნენ.
3. დაუსაბუთებლად ჭარბი დასაიდუმლოების შემცირება და საზოგადოების ინფორმირებულობის უფლებისა და ეროვნული უსაფრთხოების იმპერატივების - და საიდუმლოების სხვა ლეგიტიმური მიზეზების დაბალანსება რთული ამოცანაა. თავდაცვის სფეროში საიდუმლოების კულტურის გარდაქმნა გამჭვირვალობის ტრადიციად სავარაუდოდ უახლოეს

მომავალში შეუძლებელი იქნება ევროპის კავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების უმრავლესობაში.¹¹

4. უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში დასაქმებულ პირებს დადგენილი პროცედურების ერთგულება, პატივისცემა და სიფრთხილე მოეთხოვებათ. ეს თვისებები, რა თქმა უნდა საჭიროა, თუმცა ინოვაციურობის გარკვეული ხარისხი და ახალი იდეები შეიძლება და უნდა წახალისდეს, მაშინაც კი, თუ ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები მცირეა. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ერთის მხრივ ლეგიტიმურ საიდუმლოებასა და მეორეს მხრივ ინფორმაციაზე ლეგიტიმურ წვდომას შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევასთან დაკავშირებით კრიტიკული ხედვის არსებობა.
5. საიდუმლოების შესახებ კანონების აღსრულებასა და პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი პერსონალის წევრებმა უნდა გაიარონ სპეციალური სწავლება, რათა შეძლონ შესაბამისი მნიშვნელობა მიანიჭონ მთავრობის ღიაობისა და გამჭვირვალობის დემოკრატიულ საჭიროებას, და ამავდროულად, კანონმდებლობის შესაბამისად მკაფიოდ განსაზღვრონ ის ინფორმაცია, რომელზედაც საჭიროა საჯარო წვდომის შეზღუდვა. სრული საიდუმლოების ალტერნატივა სრული ღიაობა არ არის. უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის ხარისხი და კომპეტენცია უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან პირდაპირ შემხებლობაშია დემოკრატიულ საზოგადოებასთან, და უსაფრთხოების სამსახურებისა და სამოქალაქო საზოგადოების შორის ურთიერთობებთან.
6. დამოუკიდებელ ინსტიტუტს, მაგალითად უწყებათაშორისი განსაიდუმლოების კომისიას, რომელზედაც არ ვრცელდება დასაიდუმლოების უფლების მქონე ისეთი

11 მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩანს რუმი-ნეთმა ეს მოახერხა (მატი, 2007).

მნიშვნელოვანი უწყებების, როგორებიცაა თავდაცვა, დაზვერვა და პოლიცია, ექსკლუზიური უფლებამოსილებები - უნდა გააჩნდეს კომპეტენცია გადასინჯოს და პერიოდულად მოხსნას საიდუმლოების გრიფი ცალკეულ უწყებებში დაცულ ინფორმაციას. ზოგადად დადასტურდა, რომ სასამართლოები მიკერძოებულები არიან სახელმწიფო საიდუმლოების აღმასრულებელი პრივილეგიის სასარგებლოდ, და ძალიან ცოტა მიზეზი არსებობს ამ თვალსაზრისით ცვლილებების მოლოდინისა.

7. როგორც ჩანს, ვითარდება კარგი პრაქტიკა, რომლის არსი მდგომარეობს ტრადიციული დასაიდუმლოების ტრადიციებთან შედარებით დისკრეციული უფლებამოსილებების შემცირებაში: ინფორმაციის დასაიდუმლოებისა და გასაჯაროების საკითხის გადაწყვეტა უნდა ხორციელდებოდეს არა ერთპიროვნულად, არამედ დამოუკიდებელი კომიტეტისა, თუ კომისიის მიერ, რომელსაც შესწევს უნარი მიუკერძოებლად განსაჯოს მოცემული ინფორმაციის სრულად, თუ ნაწილობრივ დასაიდუმლოების, ან გასაჯაროების აუცილებლობა. ასეთი ტიპის სპეციალიზებული დანაყოფი უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლებრივად დადგენილი კრიტერიუმებით, განსაზღვროს მოსალოდნელი ზიანი და განახორციელოს ბალანსის ტესტი. ასეთი დამოუკიდებელი კომიტეტის, თუ კომისიის წევრობა უნდა იყოს შეზღუდული, მაგალითად 5-დან 7 წევრამდე და უნდა შეიცავდეს ექსპერტებსაც უსაფრთხოების საკითხებში აღმასრულებელი ხელისუფლების, პარლამენტის, დეპუტატების, სახალხო დამცველისა და მართლმსაჯულების სფეროებიდან.

ამოყენებული წყაროები

აფტერგუდი, სტივენი (2009 წ.): „სახელმწიფო საიდუმლოების შემცირება: ქმედითი საშუალებების ძიება,“ იელის კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიმოხილვა ტომი 27, №2 (გაზაფხული, 2009 წ.), გვ. 399-416. (*“Reducing Government Secrecy: Finding What Works,”* in *Yale Law & Policy Review* Vol. 27, No. 2 (Spring, 2009), pp. 399-416.)

ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/40239716?seq=1#page_scan_tab_contents

ფენსტერი, მარკ (2010 წ.): სახელმწიფოს აღქმა: გამჭვირვალობა როგორც მეტაფორა, ადმინისტრაციული სამართლის მიმოხილვა, გვ. 617-672 (Fenster, Mark (2010): *Seeing the State: Transparency as Metaphor*, in *Administrative Law Review*, pages 617-672) ხელმისაწვდომია: <http://scholarship.law.ufl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1571&context=facultypub>

ფუქსი, მერედით (2006 წ.): საიდუმლოების განსჯა: როლი, რომელიც უნდა შეასრულონ სასამართლოებმა გაუმართლებელი დასაიდუმლოების თავიდან აცილების პროცესში, ადმინისტრაციული სამართლის მიმოხილვა, ტომი 58, ნომერი 1, ზამთარი, 2006 წ., გვ. 131-176 (Fuchs, Meredith (2006): *Judging Secrets: The Role Courts Should Play in Preventing Unnecessary Secrecy*, in *Administrative Law Review*, Volume 58, Number 1, Winter 2006, pages 131-176.)

იაკობსენი, ამანდა ლ. (2013 წ.): ეროვნული უსაფრთხოება და ინფორმაციაზე წვდომის უფლება ევროპაში. (Jacobsen, Amanda L. (2013): *National Security and the Right to Information in Europe.*) ხელმისაწვდომია: http://www.right2info.org/resources/publications/national-security-page/national-security-expert-papers/jacobsen_nat-sec-and-rti-in-europe

მატეი, ფლორინა კრისტიანა (2007 წ.): დაზვერვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის შეხამება: რუმინეთის მაგალითი, სტრატეგიული იდეები, ტომი VI, გამოცემა 3 (მაისი, 2007 წ.). (Matei, Florina Cristiana (2007): *Reconciling Intelligence Effectiveness and Transparency: The Case of Romania*, in *Strategic Insights*, Volume VI, Issue 3 (May 2007).)

ხელმისაწვდომია: <https://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/11297/mateiMay07.pdf?sequence=1>

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2010 წ.), „ღია საჯარო ადმინისტრაციის უფლება ევროპაში: სამართლებრივი სტანდარტების განვითარება“ SIGMA ჟურნალი, №46, OECD გამოცემა, პარიზი (OECD (2010), *“The Right to Open Public Administrations in Europe: Emerging Legal*

Standards”, SIGMA Papers, No. 46, OECD Publishing, Paris.), ხელმისაწვდომია: <http://dx.doi.org/10.1787/5k-m40g2zft27-en>

რიზი, დოროთეა (2014 წ.): საიდუმლოება და გამჭვირვალობა, პოლიტიკური კვლევების ევროპული კონსორციუმის გლაზგოს კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენება, 3-6 სექტემბერი, 2014 წ. (Riese, Dorothee (2014): *Secrecy and Transparency*, paper presented at the ECPR Conference in Glasgow, September 3-6, 2014.) ხელმისაწვდომია: <https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/2cdeadd9-5191-4d2e-ae36-7d320a28a304.pdf>

სარტრი, პატრისი & ფერლე, ფილიპე (2010 წ.) თავდაცვის საიდუმლოება საფრანგეთში, კვლევების მიმოხილვა 2010/2, ტომი 412, თებერვალი, გვ. 165-75, (Sartre, Patrice & Ferlet, Philippe (2010): *Le secret de défense en France* in *Revue Études* 2010/2, Tome 412, février, pages 165-175.) ხელმისაწვდომია:

<https://www.cairn.info/revue-etudes-2010-2-page-165.htm>

სოვე, ჟან-მარკ (2011 წ.): საიდუმლოების კულტურა გამჭვირვალობის წინააღმდეგ: როგორი ბალანსი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესის დაცვას? გამჭვირვალობა, საჯარო მოქმედებების ფასეულობები და საჯარო ინტერესი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საფრანგეთი მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე გამოსვლა ნაციონალურ ასამბლეაში, სამშაბათი, 5 ივლისი, 2011 წ., (Sauvé, Jean-Marc (2011): *Culture du secret contre transparence sans limite : quel équilibre pour garantir l'intérêt général ?* *Transparence, valeurs de l'action publique et intérêt général*, discours à l'Assemblée Nationale le mardi 5 juillet 2011 au colloque organisé par Transparence Internationale France) ხელმისაწვდომია: <http://www.conseil-etat.fr/content/download/2597/7819/version/1/file/discours-transparence-international.pdf>

სეთი, სუდჰა (2012 წ.): ეროვნული უსაფრთხოების საიდუმლოების აღმავლობა, კონექტიუტის სამართლის მიმოხილვა, გამოცემა 44, ნომერი 5, ივლისი 2012 წ., გვ. 1563-1582 (Setty, Sudha (2012): *The Rise of National Security Secrets*, in *Connecticut Law Review*, volume 44, number 5, July 2012, pages 1563-1582)


საერთაშორისო გამჭვირვალობა გაერთიანებული სამეფო (2014 წ.): დასაიდუმლოებული ინფორმაცია: 15 ქვეყნის მიმოხილვა. (Transparency International UK (2014): *Classified Information: A Review of 15 Countries.*) ხელმისაწვდომია: <http://ti-defence.org/wp-content/uploads/2016/03/140911-Classified-Information.pdf>

კარგი მმართველობის გამკვლევის სერია

კარგი მმართველობის გამკვლევი

No. 01


პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში

 CENTRE FOR INTEGRITY IN THE DEFENCE SECTOR

კარგი მმართველობის გამკვლევი

No. 02


ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა საჯარო სექტორში

 თვითმართვადი კორუფციის აღკვეთის ცენტრი

კარგი მმართველობის გამკვლევი

No. 03


კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა და სააგენტოები

 თვითმართვადი კორუფციის აღკვეთის ცენტრი

კარგი მმართველობის გამკვლევი

No. 04


ინფორმაციაზე წვდომა და სახელმწიფოს გამჭვირვალობის საზღვრები


 თვითმართვადი კორუფციის აღკვეთის ცენტრი

კარგი მმართველობის გამკვლევი

No. 06

თავდაცვის სექტორში ღიაობასა და საიდუმლოებას შორის ბალანსი: გაკვეთილები საერთაშორისო კარგი პრაქტიკიდან

 თვითმართვადი კორუფციის აღკვეთის ცენტრი

 Norwegian Ministry of Defence

კარგი მმართველობის გზამკვლევი წარმოადგენს მცირე ბუკლეტების სერიას, რომელთაგან თითოეული განიხილავს თავდაცვის სფეროში კარგ მმართველობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ თემას. გზამკვლევების წაკითხვა შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მათთვის, ვისაც აინტერესებს თავდაცვის სფეროში – ან უფრო ზოგადად საჯარო სფეროში – კარგ მმართველობასთან პირდაპირი კავშირის მქონე ერთი, ან რამდენიმე საკითხი – ასევე მათი გამოყენება შეიძლება საგანმანათლებლო მიზნებისთვისაც.

სრული ან ნაწილობრივი რეპროდუქცია ნებადართულია, იმ პირობით, რომ მითითებული იქნება თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრის, ოსლო, ნორვეგია საავტორო უფლებები და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიზნად არ ისახავს ნაშრომის გაყიდვას მთლიანად ან ნაწილობრივ, ან ისეთ ნაშრომებში გამოყენებას, რომლებიც ექვემდებარება გაყიდვას.

გამოცემულია თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრის მიერ

ღიზაინი: www.melkeveien.no

დაბეჭდილია ნორვეგიის მთავრობის უსაფრთხოებისა და სამსახურის ორგანიზაციის მიერ

2018 წლის/მაისი, ნაბეჭდი ასლების რაოდენობა 100



ინგლისური ორიგინალის ქართული
თარგმანი თავაზიანად უზრუნველჰყო
ჩრდილოატლანტიკური
ხელშეკრულების ორგანიზაციამ



თავდაცვის სექტორის
კეთილსინდისიერების ცენტრი
www.cids.no